საექსპერტო დასკვნა
ქალაქ თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა №11-ში, შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ნაკვ. № 01.17.13.056.045) დაპროექტებული მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის ფუძეებზე, საძირკვლებსა და სხვა ძირითად კონსტრუქციებზე.

ქ. თბილისი 2025 წლის 27 ივნისი

დავალების თანახმად ექსპერტიზა ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა №11-ში, შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი“-ს (ID ნომერი: 404438649) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.17.13.056.045. განცხადების რეგისტრაციის ნომერი № 88202569799 – 18/06/2025] დაპროექტებული „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს შენობის პროექტის ფუძეებს, საძირკვლებსა და სხვა ძირითად კონსტრუქციებს. საექსპერტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია შემდეგი ნაწილებით (წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და აუთენტურობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი):

– ქ. თბილისი, ისანი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა №11-ში, „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი. პროექტი დამუშავებულია შპს „გრეკო სტუდიო“-ის საპროექტო ჯგუფის მიერ. პროექტის მთავარი არქიტექტორები: გ. გამყრელიძე და მ. გამყრელიძე. არქიტექტორი თ. გიორგაძე.

– ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა №11 (ს/კ: 01.17.13.056.045) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული პროექტი, რომელიც დამუშავებულია შპს „კონექსი“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. პროექტის მთავარი ინჟინერი კ. ოდიშვილი. კონსტრუქტორები: ი. ოდიშვილი, ვ. ჩხიკვიშვილი და ვ. ბეშქენაშვილი.

– ლიცენზირებული (სალიცენზიო ბარათი №1/1965-17 71782665) „Лира-САПР 2021“ საანგარიშო კომპლექსის მეშვეობით შესრულებული „ქ. თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა №11-ში (ს/კ: 01.17.13.056.045) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ანგარიში სტატიკურ და დინამიკურ ზემოქმედებაზე“ (ანგარიშის რაპორტი). ანგარიში შესრულებულია ინჟინერ-კონსტრუქტორ კ. ოდიშვილის მიერ.

– „ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის №11, ს/კ: 01.17.13.056.045, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა“, რომელიც შესრულებულია შპს „გენგეო“-ს საძიებო განყოფილების ინჟინერ-გეოლოგის, მ. ბაბილოძის მიერ.

– „სამუშაოს ანგარიში, ქალაქ თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის №11-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს/კ: 01.17.13.056.045, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ტერიტორიაზე ამოღებული ქანის სინჯების ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე“, რომელიც შესრულებულია შპს „გეოლოგიური სამსახურის გეოტექნიკური ლაბორატორია“-ს ხელმძღვანელ ნ. სანადირაძის მიერ.

საექსპერტოდ წარმოდგენილი შენობა გეგმაში რთული გეომრტრუიული ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით მიწისპირა, პირველი სართულის დონეზე 73,10X44,45 მ და შედგება ერთმანეთისაგან ანტისეისმური ნაკერით (ანტისეისმური ნაკერი მოწყობილია „ვ“ და „ზ“ ღერძებს შორის და მისი სიგანე 900 მმ-ია) გამოყოფილი ორი პირობითი ბლოკისაგან. პირობითად პირველი ბლოკი (ლიცენზირებული საანგარიშო კომპლექსის, „Лира-САПР 2021“-ის მეშვეობით შესრულებული ანგარიშის მიხედვით), რომელიც მდებარეობს „ზ-ნ“ და „12-21“ ღერძებს შორის, ოცდახუთსართულიანია (სამი მიწისქვეშა და ოცდაორი მიწისზედა სართულებით) და მისი გაბარიტული ზომები გეგმაში მიწისპირა, პირველი სართულის დონეზე (დაკვალვის ღერძებს შორის) 38,30X50,20 მ-ია. პირობითად მეორე ბლოკი კი, რომელიც მდებარეობს „ა-ვ“ და „1-10“ ღერძებს შორის, ოცდაოთხსართულიანია (სამი მიწისქვეშა და ოცდაერთი მიწისზედა სართულებით) და მისი გაბარიტული ზომები გეგმაში მიწისპირა, პირველი სართულის დონეზე (დაკვალვის ღერძებს შორის) 32,30X57,80 მ-ია. მიწისქვეშა სართულების სიმაღლე 3,00 მ. მიწისპირა პირველი

სართულის სიმაღლეც 3,90 მ-ია, ხოლო დანარჩენი მიწისზედა სართულების სიმაღლე კი 3,30 მ. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება: პირობითად პირველ ნაკვეთურში – მონოლითური რკინაბეტონის ორმარშიანი ერთი შიგა კიბით და ორი სამგზავრო ლიფტით, ხოლო პირობითად მეორე ნაკვეთურში – მონოლითური რკინაბეტონის ორმარშიანი ორი შიგა კიბით და ორი სახანძრო ლიფტით. პირობით ნიშნულად 0,000 მიღებულია პირველი სართულის იატაკის ზედაპირი, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 388,500 ტოპოგეგმის მიხედვით. სახურავი ბრტყელია.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნავთლუღის დასახლებულ პუნქტში (საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით: ზონა – თბილისი; სექტორი – ისანი), რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №71-ე დადგენილების, ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3)-ის სეისმური საშიშროების რუქის დანართის MSK-64 სკალის მიხედვით მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით A=0,17.

ზემოხსენებული დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს (დანართი 5) მიხედვით კი: (შესაბამისად ცხრილები 17 და 18):

– თოვლის საფარის წონა შეადგენს – 0,50 კპა-ს (50 კგძ/მ^2)

– სამშენებლოდ გამოყოფილ კონკრეტულ უბანზე მონაცემების არარსებობის გამო, კონსტრუქტორმა გაითვალისწინა საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა და შენობის კლასი (სიახლოვე მდინარე მტკვრის კალაპოტთან, ასევე დაპროექტებული შენობის სიმაღლე და სართულიანობა) და ქარის წნევის ნორმატიულ მნიშვნელობად შეირჩია – 0,60 კპა-ს (60 კგძ/სმ^2), 15 წლიანი განმეორებადობით.

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის მიხედვით უბნის გეოლოგიურ ამგებ გრუნტებში მონაწილეობას ღებულობს სამი ფენა (აქედან ორი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი): ნაყარი გრუნტი (ფენა 1), რომელიც გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე პირველი ფენის სახით, რელიეფის ზედაპირიდან 2,50÷2,60 მ-ის ფარგლებში და წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, ღორღის, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით. ფენა უწყლოა. ენის თვითშემკვრივების პროცესი დამთავრებულია დროის შესაბამისი პერიოდის გასვლის გამო; 1 სგე – კენჭნარი, ქვიშნარის შემავსებლით (ფენა 2), რომელიც წარმოდგენილია წვრილი და საშუალო ზომის კენჭებით, ქვიშნარის შემავსებლით 30÷35%-მდე. კენჭების დედა ქანი ძირითადად დანალექი ქანებით არის წარმოდგენილი და II სგე – ქვიშაქვები და სუბარგილიტები (ფენა 3), რომლებიც განლაგებულნი არიან რელიეფის ზედაპირიდან 6,00÷6,50 მ სიღრმიდან. ქვიშაქვები ღია ნაცრისფერია, თხელშრეებრივი, წვრილი და საშუალომარცვლოვანი თიხოვან ცემენტზე. არგილიტები მოშავო, მუქი მოყავისფრო, თხელშრეებრივი, ფირფიტისებრი აღნაგობის. გრუნტის წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში და ავლენს სხვადასხვა ხარისხის სულფატურ აგრესიულობას სხვადასხვა სახის ცემენტის მიმართ, ამიტომ ინჟინერ-გეოლოგის რეკომენდაციით, „წყლის ქიმიური და სანიტარული ანალიზი“-ს შედეგების გათვალისწინებით, საძირკვლებისთვის გამოყენებულ უნდა იქნას სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული ბეტონი. კლდოვანი ქანის ორი ნიმუში გამოცდილ იქნა შპს „გეოლოგიური სამსახურის გეოტექნიკური ლაბორატორია“-ში, გეოლოგიის აკადემიური დოქტორის ნ. სადრაძის მიერ. ინჟინერ-გეოლოგის მოსაზრებით ქვაბულის დამუშავების დროს შესაძლებელია საჭირო გახდეს წყალქცევითი სამუშაოების ჩატარება. ფუძე გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები დეტალურად მოცემულია საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში. სსიპ გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის უბანი ძირითადად მიეკუთვნება დაბალი გეოლოგიური საფრთხის ზონას და რაიმე დამატებითი ღონისძიებების ჩატარება არ არის საჭირო, ხოლო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთი კი მიეკუთვნება საშუალო გეოლოგიური საფრთხის ზონას.

შენობის საანგარიშო კონსტრუქციული სქემა მონოლითური რკინაბეტონის ხისტკვანძოვანი, ჩარჩოვან-კავშირებიანი სისტემაა, რომელიც შედგება კარკასის ვერტიკალური ელემენტებისაგან, სვეტებისაგან და ვერტიკალური დიაფრაგმებისაგან – კედლებისაგან ან სიხისტის ბირთვებისაგან, რომლებიც თავისთავზე იღებენ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დატვირთვებს. დაპროექტებული შენობის მზიდი კონსტრუქციების, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გაანგარიშება მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე ჰორიზონტალურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე შესრულებულია „Лира-САПР 2021“ (სალიცენზიო ბარათი №1/1965-17 71782665) საანგარიშო კომპლექსის მეშვეობით. საანგარიშო დატვირთვები შერჩეულია საქართველოში მოქმედი ნორმების გამოყენებით. წარმოდგენილ საანგარიშო მოდელში განხილულია მთლიანად შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, რომლის ანალიზით მიღებული შედეგები შემდეგია: პირობითად პირველი ბლოკი – შენობის საკუთარი რხევის პერიოდები – $I_ფ$=2,3595 წმ; $II_ფ$=2,1220 წმ და $III_ფ$=1,3955 წმ. შენობის დინამიკური პარამეტრების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა საკუთარი რხევის 41 ფორმა. შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური დეფორმაციები სეისმური ზემოქმედების დროს: №4 დატვირთვით (მდგენელი 1) X მიმართულებით – 64,3 მმ-ია, ხოლო Y მიმართულებით კი №5 დატვირთვით (მდგენელი 1) – 108 მმ [მაქსიმალური ჰორიზონტალური გადაადგილება Y მიმართულებით №6 დატვირთვის დროს (მდგენელი 1) 136 მმ-ია]. პირობითად მეორე ბლოკი – შენობის საკუთარი რხევის პერიოდები – $I_ფ$=2,4481 წმ; $II_ფ$=2,1356 წმ და $III_ფ$=1,2839 წმ. შენობის დინამიკური პარამეტრების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა საკუთარი რხევის 20 ფორმა. შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური დეფორმაციები სეისმური ზემოქმედების დროს: №4 დატვირთვით (მდგენელი 1) X მიმართულებით – 167,0 მმ-ია, ხოლო Y მიმართულებით კი – 70,7 მმ-ია. კომპიუტერული ანალიზისა და გაანგარიშების შედეგები სრულად აკმაყოფილებს СНиП-ებისა და ქართული სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ანგარიშით მიღებული ძალვების მიხედვით შეირჩა ფუძე საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების კვეთები და არმირება: საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო წითელი ხაზის: ჩრდილოეთით, № 01.17.13.056.062 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთის გასწვრივ, აღმოსავლეთ ნაკვეთურში; აღმოსავლეთით (რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩის გასწვრივ); სამხრეთით, № 01.17.13.056.011 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთის გასწვრივ, დასავლეთ ნაკვეთურში და დაურეგისტრირებელი ნაკვეთის გასწვრივ; დასავლეთით, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო წითელი ხაზის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე (ლევილის სანაპიროს გასწვრივ), ქვაბულის ფერდი დამუშავებულია ბუნებრივი დახრილობით. ჩრდილოეთით, № 01.17.13.056.062 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთის გასწვრივ, დასავლეთ ნაკვეთურში ქვაბულის ფერდის გასამაგრებლად დაპროექტებულია 600 მმ განივი კვეთის მქონე მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯების ფარდა, ხოლო სამხრეთით, № 01.17.13.056.011 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთის გასწვრივ, აღმოსავლეთ ნაკვეთურში, № 01.17.13.056.011 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე მოწყობილია არსებული მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯების ფარდა. ქვაბულის ფერდების მდგრადობის ამოცანა ამოხსნილია ინჟინრების ელექტრონული ცნობარის „ЕСПРИ“-ს საშუალებით. ინჟინერ კონსტრუქტორის გადაწყვეტილებით შენობის საძირკვლის ტიპად შერჩეულია მონოლითური რკინაბეტონის 1300 და 700 მმ სისქის საძირკვლის ფილა (საძირკვლის ფილაში გამოყენებულია B25W8 კლასის ბეტონი). „ა-გ“ მონაკვეთში, „4-7“ ღერძებს შორის საძირკვლების ტიპად შერჩეულია Ø1500 და Ø1200 მმ დიამეტრის მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები (ხიმინჯებში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი), რომელთა თავზე მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის 1300 მმ სისქის საძირკვლის ფილა-როსტვერკი (საძირკვლის ფილა-როსტვერკში გამოყენებულია B25W8 კლასის ბეტონი). მონოლითური რკინაბეტონის კარკასის ვერტიკალურ მზიდ ელემენტებად გამოყენებულია 1500X600; 1500X500; 1500X400; 1200X400; 1000X400; 1200X600 და 800X400 მმ განივი კვეთის მქონე მთლიანკედლიანი სწორკუთხა განიკვეთის მქონე სვეტები (სვეტებში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი). მათ

გარდა ვერტიკალურ მზიდ ელემენტებად გამოყენებულია 600, 500, 400, 300, 250 და 200 მმ სისქის კედლები. მონოლითური რკინაბეტონის პერიმეტრის კედლების სისქე 300 მმ-ია (კედლებში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი). სართულშუა და სასხვენო გადახურვის წიბოვანი ფილების სისქე მიწისქვეშა სართულებზე 250 მმ-ია, ხოლო მიწისზედა სართულებზე კი 220 მმ (გადახურვის ფილებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი). გადახურვის ფილების წიბოების (რიგელების) განივი კვეთი 400X700(h) მმ-ია (რიგელებში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი). სართულშუა და სასხვენო გადახურვის ფილები ქმნიან სიხისტის ჰორიზონტალურ დისკოს და კარკასის ელემენტებთან ერთად უზრუნველყოფენ შენობის სივრცით სიხისტეს. სართულებს შორის საკომუნიკაციო მონოლითური რკინაბეტონის კიბის მარშებისა და ბაქნების სისქე 200 მმ-ია (კიბის მარშებსა და ბაქნებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი), ასევე მიწისქვეშა სართულებთან დამაკავშირებელი პანდუსის ფილის სისქე კი 250 მმ-ია (პანდუსებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი). კონსტრუქციების არმირებაში გამოყენებულია A500C კლასის არმატურის ღეროები, ხოლო საკიდებად კი A240C კლასის გლინულა. ალტერნატიულ ვარიანტად შემოთავაზებულია B500B კლასის არმატურა და Ac-I კლასის გლინულა.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალები შესწავლილ იქნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილთან ერთობლიობაში, კონსტრუქციული ნაწილი კი დეტალურად. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგრამ მიუხედავად ამისა ექსპერტს მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

1. ფურცელზე „გს-1“ („სარჩევი. განმარტებითი ბარათი. მასალის ხარჯის ჯამური უწყისი“), განმარტებითი ბარათის:

– მე-3 აბზაცში დაფიქსირებულია, რომ: „შენობა შედგება ორი ბლოკისაგან. ერთი ბლოკი ოცდაექვს სართულიანია, ხოლო მეორე ოცდახუთი“ (სავარაუდოდ მექანიკური შეცდომაა), რეალურად კი პირობითად პირველი ბლოკი ოცდახუთსართულიანია, ხოლო მეორე კი ოცდაოთხსართულიანი.

– მე-5 აბზაცში მითითებულია, რომ: „შენობების მზიდი კონსტრუქციების, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გაანგარიშება მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე და აგრეთვე ჰორიზონტალურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე, ჩატარებულია „Лира 15“-ის საშუალებით (ლიც. № 92095856), მაგრამ დამკვეთის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა №11-ში (ს/კ: 01.17.13.056.045) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ანგარიში სტატიკურ და დინამიკურ ზემოქმედებაზე“ (ანგარიშის რაპორტი)-ის მიხედვით ანგარიში შესრულებულია ლიცენზირებული (სალიცენზიო ბარათი №1/1965-17 71782665) „Лира-САПР 2021“ საანგარიშო კომპლექსის მეშვეობით.

2. ფურცელზე „კ-1“ („ქვაბულის გეგმა“), საპროექტო შენობის კონტური რამოდენიმე ადგილზე მიბმულია საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო წითელი ხაზის კონტურთან. სასურველია, რომ საპროექტო შენობის კონტურთან ერთად ნახაზზე დატანილ იქნას დაკვალვის ღერძები და ისინი მიბმული იქნას როგორც საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო წითელი ხაზის კონტურთან, ასევე ქვაბულის ძირის კონტურთანაც.

3. ფურცელზე „კ-3“ (ჭრილი 1-1; 2-2; 3-3), „ჭრილი 1-1“-ის დეტალზე პირობითი 0,000 ნიშნულის შესაბამის აბსოლუტურ ნიშნულად დაფიქსირებულია 388,500 მ, ხოლო „ჭრილი 2-2“-სა და „ჭრილი 3-3“-ზე კი 380 მ. საჭიროა შეუსაბამისობის გასწორება. იგივე შენიშვნა გვაქვს „კ-4“ ფურცელზე დამუშავებულ „ჭრილი 4-4“-ის მიმართაც.

4. ფურცელზე „კ-6“ („კედლების მარკირების ნახაზი -9,10 ნიშნულზე“) დამუშავებული ნახაზი არ შეესაბამება ფურცლის დასახელებას, ფურცელზე დამუშავებულია საძირკვლის ფილის კვეთები. „კვეთი 9-9“ და „კვეთი 12-12“-ზე დამუშავებული დეტალები (კვეთები საძირკვლის ფილის კიდეებში) ნაწილობრივ პასუხობენ პროექტირების ნორმების – СП 63.13330.2018 Бетонные и железобетонные конструкции. Основные положения. („წესების კრებული. ბეტონისა და რკინაბეტონის

კონსტრუქციები“) – ის 10.4.9 პუნქტის მოთხოვნას, საძირკვლის ფილის კონტურზე ჩამკეტი „П“-ს მაგვარი ღეროების მოწყობის თაობაზე, რომლის თანახმად: „ბრტყელი ფილების გარე კონტურზე უნდა მოეწყოს განივი არმირება „П“-ს მაგვარი საკიდებით (იხ. ნახატი 10.1, ა), რომლებიც უნდა განლაგდნენ ფილის კიდეებზე და უნდა უზრუნველყონ მგრეხავი მომენტების მიღება ფილის კიდეებზე და გრძივი არმატურის ღეროების კიდეების აუცილებელი ჩაანკერება“. „П“-ს მაგვარი ღეროების (პოზიციები 2 და 2*) ჰორიზონტალური ნაშვერები (ჩაანკერების სიგრძე) უნდა იყოს ფილის სისქის ორმაგი სიდიდის ტოლი, ჩვენს შემთხვევაში 1300 მმ. სისქის ფილისათვის ჰორიზონტალური ნაშვერების სიგრძე ნაცვლად 1000 მმ-ისა უნდა იყოს 2600 მმ, ხოლო 700 მმ სისქის ფილისათვის ჰორიზონტალური ნაშვერების სიგრძე ნაცვლად 1000 მმ-ისა უნდა იყოს 1400 მმ. აქვე დამუშავებულია „მასალის სპეციფიკაცია საძირკველზე“, რომლის მიხედვითაც საძირკვლებში გამოყენებულია B25W8 კლასის ჩვეულებრივი ბეტონი, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ინჟინერ-გეოლოგის რეკომენდაცია და საძირკვლებისთვის გამოყენებულ უნდა იქნას სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული ბეტონი. ს მოთხოვნა ვრცელდება მიწასთან შემხებ ყველა კონსტრუქციაზე.

– პროექტის მიხედვით გადახურვის ფილებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი, ხოლო ფილის წიბოებში კი B35 კლასის ბეტონი. საჭიროა ინფორმაციის გადამოწმება.

ექსპერტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინების ან დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევაში ექსპერტს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ქალაქ თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა №11-ში, შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.17.13.056.045] დაპროექტებული „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს მიეცეს დადებითი შეფასება მშენებლობის დაწყების ნებართვის მისაღებად.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე
საკ. ტელ: 5.77 757 028; 5.98 922 254

საბოლოო დასკვნა

გავეცანი კონსტრუქტორის პასუხებს ექსპერტის შენიშვნებზე. პასუხები დამაკმაყოფილებელია. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი პროექტის, „Лира-САПР 2021“ (სალიცენზიო ბარათი №1/1965-17 71782665) საანგარიშო კომპლექსის მეშვეობით შესრულებილი ანგარიშით მიღებული ძალვებით შერჩეული კონსტრუქციული ელემენტების კვეთები და არმირება იძლევა შენობისა და მისი კონსტრუქციული ელემენტების უსაფრთხო ექსპლუატაციის გარანტიას. ანგარიშის შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ შენობის სეისმომედეგობა „Лира-САПР 2021“-ის გამოყენებით შესრულებილი ანგარიშით უზრუნველყოფილია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საექსპერტოდ წარმოდგენილ, ქალაქ თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა №11-ში, შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.17.13.056.045] დაპროექტებული „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს შენობის პროექტის ფუძეებს, საძირკვლებსა და სხვა ძირითად კონსტრუქციებს ეძლევა დადებითი შეფასება მშენებლობის მშენებლობის დაწყების ნებართვის მისაღებად.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე
04.07.2025 წ.

CV

რამაზ აშხაძე



ეროვნება: ქართველი
სქესი: მამრობითი
დაბადების თარიღი: 16.07.1949 წ.
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
კონტაქტი: ტელ: 2 63 22 52
მობ: 577 757 028; 571 490 107
5.98 922 254
E-mail: shuxuteli@yahoo.com
shuxuteli@gmail.com

სამუშაო გამოცდილება

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო შპს „პონტიკა“	- ინსპექტორი 2020 წლიდან
შ.პ.ს. „ბალავერი“	- დირექტორი 2015 წლიდან.
შ.პ.ს. „ტანდემი“	- დირექტორი 2011 წლიდან.
შ.პ.ს. „ედრი+“	- მთავარი ინჟინერი 2009 წლიდან.
სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები:	- საცხოვრებელი; სამრეწველო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობათა პროექტირება 1993 წლიდან. - მშენებლობის საავტორო ზედამხედველობა 1998 წლიდან. - პროექტების ექსპერტიზა და შენობა-ნაგებობათა მდგომარეობის გამოკვლევის საექსპერტო შეფასება 2000 წლიდან. - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 2006 წლიდან
სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის საპროექტო -საკონსტრუქტორო ბიურო, “რემმშენპროექტი”	- წამყვანი კონსტრუქტორიდან განყოფილების უფროსის თანამდებობამდე. 1976-1993.
ქ. თბილისის საპროექტო ინსტიტუტი „თბილზნიიეპი“	- კონსტრუქტორი. 1973-1976.

გარდა ზემოაღნიშნულისა დარეგისტრირებული ვარ საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარები სამინისტროში განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ექსპერტად:

- პროექტების კონსტრუქციულ ნაწილში - 2006 წლიდან
- შენობათა მდგომარეობის გამოკვლევა – 2009 წლიდან.

2016 წელს მომანიჭეს საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება (ბრძანება №1-1/663 07.12.2016). 2019 წელს ამირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიაში მრჩევლად (წიგნაკი №5-171 25.03.2019).

განათლება: 1967-1974. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპეციალობა-სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

ენები: ქართული – მშობლიური; რუსული – სრულყოფილად.

კომპიუტერული ცოდნა: Windows Ms; Word; Excel; AutoCAD; Internet Explorer.

სხვადასხვა: ა/მანქანის მართვის „B“ კატეგორია.

დიპლომი

Я № 182258

ეს დიპლომი მიეცა აფხაძე
რამაზი ნოდარის-ძეს
მასზე, რომ იგი 1968 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახ.
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1974 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1974 წ.
„29" ივნისის გადაწყვეტილებით
რ.ნ. აფხაძეს მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1974 წ. „5" X

სარეგისტრაციო № სტ-3557

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Я № 182258

Настоящий диплом выдан Апхадзе
Рамазу Нодаровичу
в том, что он в 1968 году поступил
в Грузинский политехнический
ин-ут им. В.И. Ленина
и в 1974 году окончил полный курс
названного института

по специальности
Промышленное и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „29" июня 1974 г.
Апхадзе Р.Н.

присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П. Город Тбилиси „5" X 1974 г.

Регистрационный № ст-3557

Московская типография Гознака. 1972.

შრომითი ბიოგრაფია

სახელი და გვარი: რამაზ აფხაძე

მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, I მ/რ, კორპ. 13, ბინა 146.

ტელეფონი: 263 22 52; 5.77 757 028; 5.71 49 01 07.

დაბადების თარიღი: 1949 წ. 16 ივლისი

განათლება: 1974 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

შრომითი გამოცდილება:

პროექტები:

– თეატრი ქ. მახაჩკალაში; ინტურისტის სასტუმრო 900 ადგილზე ქ. გაგრაში; ინტურისტების სასტუმროსა და საქვაბის კონსტრუქციების გამოკვლევა ქ. ქობულეთში; ტიპიური პროექტები: ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლი IV-კლიმატური ზონისათვის; პიონერთა ბანაკი; სტადიონი 25000 ადგილზე და სპორტული კომპლექსი; ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე გერმანიის საელჩოს შენობის კონსტრუქციული ელემენტების გამოკვლევა (ქ. თბილისის ზონალური სამეცნიერო და კვლევითი საპროექტო ინსტიტუტი „თბილზნიიეპი“).
– ზესტაფონის კაბელებისა და შორაპნის ელემენტების ქარხნების საცხოვრებელი კორპუსები; კასპის ქ-ნა „ელექტროაპარატის“ მთავარი საწარმოო კორპუსის რეკონსტრუქცია და ნეიტრალიზაციის ქვესადგურის პროექტი; გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის საქვაბე; ქ. თბილისის ქ-ნა „ელექტროიზოლიტი“-ს ქარსის საამქროს რეკონსტრუქცია; ქ. თბილისის ქ-ნა „ელექტროშედუღება“-ს დამხმარე საწარმოო კორპუსი; ბაქოს ქარხანა „ცენტროლიტი“-სა და კონდიციონერების ქარხნის საწარმოო საამქროების რეკონსტრუქცია; საწარმოო კომპლექსის პროექტი დასახლება ბინაში (ბაქოს მახლობლად-აზერბაიჯანი); კაბელების ქარხნის მთავარი საწარმოო კორპუსი ქ. კამოში (სომხეთი). საწარმოო კორპუსების გამოკვლევა-გაძლიერება: ქ. თბილისის ქარხნებში „ელმავალმშენებელი“; „ელექტროშედუღება“; „ელექტროაპარატი“ და „ელექტროიზოლიტი“. „ელექტრომექანიკური“ ქარხანა ქ. ქუთაისში; ქარხანა „ემუ“ და ელექტრომექანიკური ქარხანა ქ. ფოთში; ქ. ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა; კაბელების ქარხნის ცენტრალური საწყობი ქ. ზესტაფონში; შორაპნის ელემენტების ქარხნის ნედლეულის ცენტრალური საწყობი; საბურავების ქარხანა და ქარხანა „არმელექტრომაში“ ქ. ერევანში; სამეცნიერო საწარმო „აზნიიეტი“ ქ. ბაქოში; ტრანსფორმატორების ქარხნის ადმინისტრაციული კორპუსი ქ. ორჯონიკიძეში (ჩრდილო ოსეთი); ტრანსფორმატორების ქარხნის საწარმოო კორპუსი ქ. ლენინაკანში;

ელექტრომექანიკური ქარხნის საწარმოო კორპუსი ქ. დუშანბეში (სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საკონსტრუქტორო ბიურო „რემმშენპროექტი“)
– სასტუმრო „ტფილისი“ აბანოთუბანში და ფინანსთა სამინისტროს საოფისე შენობის გადაგეგმარება რეკონსტრუქცია ყოფილი ბარნოვის ქუჩაზე ქ. თბილისში (შ.პ.ს. „კარიბჭე“).
– ქ. თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რეკონსტრუქცია; ხაშურის რაიონის გომის სპირტის ქარხნის საჩამომსხმელო საამქრო; „რენო“-სა და „ოპელი“-ს ავტოცენტრები ქ. თბილისში; ღვინის ქარხანა „მეღვინეობა ხარება“ სოფ. სიქთარვაში (თერჯოლის რ-ნი); თელავის ღვინის ქარხნის საცავი საამქრო; ბორჯომის №1 საჩამომსხმელო ქარხნის საწყობი და შ.პ.ს. „გეოფრიშკომპანი“-ს საწყობი ლანჩხუთის რაიონის სოფელსუფსაში (შ.პ.ს. „სიმაღლე“).
– „მაგთივინი“-სა და შ.პ.ს. „ფუძე“-ს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში („შანხაის დასახლება“), ყაზბეგის გამზ. №34 (შ.პ.ს. „კულტმშენი“).
– ჰიპერმარკეტი „გუდვილი“; საზაფხულო კინოთეატრი ბორჯომპარკში; რკინიგზელთა კულტურის სახლი ქ. ფოთში; მრავალსართულიანი სახლი გოგებაშვილის ქუჩაზე ქ. თბილისში და ბაკურიანის ტურბაზის რეკონსტრუქცია (შ.პ.ს. „გოდაკო+“).
– შ.პ.ს. „თეგეტა-მოტორსი“-ს ავტოსერვისცენტრები ქ. თბილისში (შ.პ.ს. „სტუდია-ბეტა“) და ფოთში (შ.პ.ს. „მიშელი“).
– ქ. თბილისის მე-9 საშ. სკოლა (შ.პ.ს. „არქიტრიო“).
– ქ. თბილისის შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კორპუსების რეკონსტრუქციის პროექტები (შ.პ.ს. „ინტერსერვისი“).
– სავაჭრო ცენტრი ორთაჭალაში, ქ. თბილისში და ბაზალეთის ტურისტული კომპლექსი (შ.პ.ს. „ცენტრი“).
– მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში კერესელიძის ქუჩაზე და ლითონის ნაკეთობათა საწყობი დიდუბეში, ვანის ქუჩაზე ქ. თბილისში (შ.პ.ს. „მაქსმშენი“).
– ქ. თბილისის №187-ე და №48-ე სკოლების, მცხეთის რაიონის სოფელ გალავნისა და ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალის საშუალო სკოლების გაძლიერება; სასაწყობე მეურნეობა და სავაჭრო ცენტრი ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩაზე; საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში შ.პ.ს. „შატო მანავი“-ს ღვინის ქარხნის მიმღები და საცავი საამქროები“ (შ.პ.ს. „აგრომრეწვსერვისი“).
– თბილისის სპორტის სასახლისა და სასტუმრო „აჭარა“-ს რეკონსტრუქცია; საოფისე საგამოფენო ცენტრი შარდენზე (შ.პ.ს. „აჭარა+“).
– მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი აღმაშენებლის ხეივანსა და მიქელაძის ქუჩის მიმდებარედ; მრავალფუნქციური შენობა გლდანში და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი წყალტუბოს ქუჩაზე - „G“ ბლოკი ქ. თბილისში (შ.პ.ს. „ვატო“).
– შ.პ.ს. „მერიდიანი“-ს საწარმოო კორპუსი ქიზიყის ქუჩაზე ქ. თბილისში; შ.პ.ს. „გეოლატექსი“-ს სასაწყობე მეურნეობა დ. თავდადებულის ქუჩაზე (დიდი დიღომი) ქ. თბილისში; სავაჭრო ცენტრი „მარშე“ თ. ერისთავის ქუჩაზე ქ. თბილისში; სავაჭრო ცენტრი „პანორამა“ დიდ დიღომში, ქ. თბილისში; შ.პ.ს. „ვინარტი“-ს საოფისე-სასაწყობე შენობა სოფ. დიღომში (დიდი დიღომი) ქ. თბილისში; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარაბდის ქ. №27-ში ქ. თბილისი; და ღვინის ქარხანა ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში (შ.პ.ს. „ედრი+“).
– შ.პ.ს. „თბილღვინო“-ს ღვინის ქარხანა ყვარელში (შ.პ.ს. „მრეწვმშენპროექტი“).

– სასაწყობე მეურნეობა ივ. კაჭარავას ქუჩაზე ქ. თბილისში; მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი წყალტუბოს ქუჩაზე - „A“ ბლოკი ქ. თბილისში; შ.პ.ს. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“-ს ღვინის ქარხნები: საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულთან, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში და დაბა ქედაში; შუშის წრთობის საამქრო ავჭალაში, დ. სარაჯიშვილის ქ. №14ა-ში, ქ. თბილისი (შ.პ.ს. „ტანდემი“).
– კომერციული დანიშნულების შენობა ვარკეთილში და სასაწყობე შენობა გლდანში ქ. თბილისში და ტერმინალი ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე (შ.პ.ს „ბიჯი“).
– სავაჭრო ცენტრი ქ. ქობულეთში და შ.პ.ს. „მათე-მოტორსი“-ს ავტოსალონი აღმაშენებლის ხეივანზე ქ. თბილისში (შ.პ.ს. „არტდიზაინ+“).
– ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუკულში მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიისა და სოფელ ჩიხარიშის „ოქონის“ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტები; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში არსებული „პეტრას ციხე“-ს პირველი ეტაპის რეაბილიტაციის პროექტი (შ.პ.ს. „რესტავრატორები და კომპანია“).
– თეთნულდის სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების საპროექტო ობიექტების წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ნაგებობები (შ.პ.ს. „ხუროთმოძღვარი“).
– სასაწყობო მეურნეობის სამრეწველო შენობა ფეიქრების ქუჩაზე ქ. თბილისში (შ.პ.ს. „არქდიზაინპროექტი“).
– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში შ.პ.ს. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“-ს „შატო“-დ წოდებული შენობა; მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში „თადეოზ გურამიშვილის საგვარეულო მარანი“-ს რეაბილიტაცია და ღვინის სახლის პროექტი; ტურისტული სასტუმრო გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ახაშენში (შ.პ.ს. „უნი ჯგუფი“).
– საკონსერვო ქარხნების პროექტები ქ. ჩოხატაურსა და დაბა ქედაში (შ.პ.ს. „ვაკო“).
– ქ. თელავში, ბ. ახოსპირელის ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (ყოფილი ავტოსკოლის შენობა) რეაბილიტაციის პროექტი (შ.პ.ს. Z&S „association“).

პროექტების (კონსტრუქციული ნაწილის) ექსპერტიზა:

„ხორბლის გადამამუშავებელი წისქვილი და მაკარონის მწარმოებელი ქარხანა“ ქ. თბილისში ჭირნახულის ქ. №4-ში; ქ. თბილისში „მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები“ ა. მირცხულავას ქ. №11-ში; გორგასლის ქ. №10-ში; შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ საცხოვრებელი ჯგუფი „ფიჭვები“ (შ.პ.ს. „თბილსათბობმშენი“); „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – „ნუცუბიძე-2007“ ქ. თბილისში და თელავის რაიონის სოფელ იყალთოში, ქვევრის სკოლა-სახელოსნო „ქვევრის სახლი“; (შ.პ.ს. „აგრომრეწვსერვისი“); „კლიჩის ხეობის 500 კვ. ეგხ. №212 და №214 ანძების მუშა პროექტი“ და „ეგხ. 500 კვ. ენგურჰესი-ცენტრალური (კავკასიონი) №27a საყრდენის მუშა პროექტი“ (შ.პ.ს. „ვნვ და კომპანია“); ქ. თბილისში: შ.პ.ს. „კარდენახი“-ს მრავალფუნქციური საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა; „მრავალფუნქციური კომპლექსის საცხოვრებელი ზონა გორგასლის ქ. №40-ში“; ც. დადიანის ქ. №271/281-ში მდებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი; ქ. ფოთში, ლარნაკას ქ. №7-ში მდებარე „სასაწყობე, სამაცივრე მეურნეობის პროექტი“; ქ. ქობულეთში (ვილა-ქობულეთი-საქართველო) მრავალფუნქციური სახლი; საცხოვრებელი

სახლი ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. №113-ში; ქ. თბილისში ისანი-სამგორის რაიონში, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი; ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვარის გზატკეცილზე (მ. მაჭავარიანის ქუჩა) მდებარე „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ადმინისტრაციული შენობის პროექტი“; ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე №15-ში სპორტკომიტეტის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი; ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №6-ში მდებარე „ომარ ფხაკაძის სახელობის თბილისის ცენტრალური ველოდრომი“-ს დემონტაჟის პროექტი; „მრავალფუნქციური შენობა ქ. თბილისში ყაზბეგის გამზირზე №25“-ში (M^2 საბურთალოზე); ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანზე (ყოფილი ცეკავშირის შენობის ადგილას) 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს კომპლექსი; „ბათუმი თაუერი“ ქ. ბათუმში (შ.პ.ს. „ედრი+“); ბრიტანულ-ქართული აკადემიის კომპლექსი ქ. თბილისში; აბაშის რაიონში, შ.პ.ს. „აბაშის მერძევეობის ფერმა“; ქ. თბილისში „მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი – სოლოლაკის ბაღები“; ქ. თბილისში „მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი – სოლოლაკის მაღლობი“; საცხოვრებელი კომპლექსი „M^2 იპოდრომთან“ თამარაშვილის ქ. №13-ში, ქ. თბილისი (შ.პ.ს. „ტანდემი“); ქ. თბილისში, გლდანში, შპს „დონა გრუპი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე დაპროექტებული მრავალფუნქციური კომპლექსი; შპს „მ2“-ის საკუთრებაში არსებული: სასტუმრო ქ. თელავში, სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლი ქ. ზუგდიდში და ქ. თბილისში, გელოვანის გამზ №1-ში მრავალფუნქციური კომპლექსის IV, VII÷XII ბლოკები; ქ, თბილისში, გ. დანელიას ქ. № 5-ში, შპს „ჩემი სახლი“-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე დაპროექტებული მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი; ქ. თბილისში, კრწანისის ქ. №49-ში, შპს „რედ-კო“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის „A“ და „B“ ბლოკები (შპს „ბალავერი“); ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, დაპროექტებულ დიდველისა და კოხტა-მიტარბის, სამთო სათხილამურო კურორტზე ხელოვნური გათოვლიანებისათვის საჭირო სატუმბო სადგურების, „მიწის დამჭერი კედელი“-სა და საჩოჩიალო საბაგირო; ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში, მოიჯარე შპს „ბათუმი რივიერა“-ს „სანაპირო კლუბი“-სა და „სანაპირო კლუბის აუზი“-ს დროებითი შენობა-ნაგებობები; ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის ქ. №17-ში, შპს „ბრიტანულ-ქართული აკადემია“-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე დაპროექტებული „დამატებითი სასკოლო ბლოკის შენობა“; ბაღდადის მუნიციპალიტეტის კურორტ საირმეში (სოფელ უდაბნოში), შპს „კურორტი საირმე“-ს საკუთრებაში არსებულ სანატორიუმის კომპლექსის „Best Western“-ის სასტუმროს შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია; ქ. თბილისში, ლიუბლიანას ქ. №3ა-ში, შპს „თბილმშენი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კაიშაურებში „მთა ვარცლაზე“, შპს „რედ-კო“-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე დაპროექტებული „საცხოვრებელი სახლი გუდაურში“; ქ. ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩის №28-ში დაპროექტებული „სპორტული კომპლექსი“-ს შენობები; ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანში, მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული ახალი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შენობა; გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანში, არსებული ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის რეკონსტრუქცია; ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე №37–ში, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობის (ე.წ. „მელიქ აზარიანცი“) რეაბილიტაცია; ქ. ქუთაისის ახალგაზრდული პარკის რეაბილიტაცია; ქ. თბილისში, დიდი ლილო, შპს „ჩერი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე

დაპროექტებული ერთსართულიანი საწარმოო ფართის მიშენება; ქ. თბილისში, ბომბორას ქუჩა №6ბ-ში, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე თბილისის ტელეანძის რეკონსტრუქცია; ქ. თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, თემქის ხევის ტერიტორიაზე დაპროექტებული „თემქის ხევის პარკი“-ს მედიათეკის და ბელვედერის შენობები („A“ კლასის აკრედიტაციის მქონე ორგანო, შპს „პონტიკა“).

შენობა-ნაგებობათა გამოკვლევა:

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე №22-ში მდებარე „მაგთიკომი“-ს სარეალიზაციო ოფისი; ქ. თბილისის №48-ე და №187-ე საჯარო სკოლები (შ.პ.ს. „აგრომრეწვსერვისი“); სასტუმრო „აჭარა“; ქ. ბორჯომში „კომპოზიტორთა სახლი“; „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“ ქ. თბილისში „ქ. თბილისში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის (ფალიაშვილის/მოსაშვილის 85/24) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და საექსპერტო დასკვნის მომზადება“; ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქუჩა №18/რუსთაველის გამზ. №7-ში მშენებარე მრავალფუნქციური სამუზეუმო კომპლექსის შენობაზე მიმდინარე მშენებლობის უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების შესწავლა; ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, „პარკი მუშთაიდი“-ს (ნაკვ 18/018) მწვანე შენობის (ყოფილი საცეკვაო სტუდია) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქუჩაძე მდებარე ქართულ-ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ყოფილი შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; ქ. თბილისში, მინდელის ქ. №9-ში მდებარე სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“-ს ცხრასართულიანი ადმინისტრაციული კორპუსის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (შ.პ.ს. „ედრი+“); ქ. თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზ. №3-ში, შ.პ.ს. „არდი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებული მშენებარე საოფისე შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება“; შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“-ს სათაო ოფისისა და სერვისცენტრების შენობების კონსტრუქციული ელემენტების გამოკვლევა ქ. თბილისში აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე №5-ში; უნივერსიტეტის ქ. №6-ში და ქ. ახალციხეში; შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; ზაქარია ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სახურავის ხის ელემენტების გამოკვლევა; კურორტ საირმეს დასასვენებელი კორპუსების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; თერმული წყლების აბანოს შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა ბაღდათის რაიონის სოფ. უდაბნოში; ქ. თბილისში, ერეკლე II-ს მოედანი №2-ში მდებარე მრავალფუნქციური ობიექტის („როსტომ მეფის სასახლე“) შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; ქ. დედოფლისწყაროში, სოფელ წითელწყაროში მდებარე ყოფილი ხორბლის საცავის (ე.წ. „ზაგოზერნო“-ს) შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; ი. ჭავჭავაძის გამზირზე №1-ში მდებარე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I-კორპუსის ბიბლიოთეკისა და რესურსცენტრის რეკონსტრუქციისათვის მზიდი კონსტრუქციების შესწავლა და რეკომენდაციების მომზადება; ქ. თბილისში ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის „დინამო-არენა“-ს

კონსტრუქციული გამაგრების სამუშაოების ზედამხედველობა (შ.პ.ს. „ტანდემი“). ქ. თელავში, ბ. ახოსპირელის ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (ყოფილი ავტოსკოლის შენობა) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა (შ.პ.ს. Z&S „association“). ქ. გორში, წერეთლის №11-ში, შ.პ.ს. „Bolero & Company“-ს საკუთრებაში არსებული შენობა; ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №95-ში დიდ დიღომში, გიორგი ბრწყინვალეს №45-ში არსებული, შპს „ჰაუსარტი“-ს საკუთრებაში არსებული შენობები; ქ. ფოთში, გორგასლის ქ. №25-ში მდებარე შენობა; ქ. თბილისი, ფალიაშვილის №102-ში, შპს „აა1“-ის საკუთრებაში არსებული შენობა; ქ. თბილისში, ენუქიძის ქ. №7-ში, შპს „ოლპი უძრავი ქონება“-ს საკუთრებაში არესებული სამრეწველო და ადმინისტრაციული შენობები; ქ. სიღნაღში, ჭავჭავაძის ქუჩა №1-ში სს „კორპორაცია ქინძმარაული“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ყოფილი სასტუმრო „სიღნაღი“ (შპს „ბალავერი“); მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიჩბისში განთავსებული საწარმოო შენობა-ნაგებობები; თიანეთის მუნიციპალიტეტში, ხევსურთსოფელში, სოფელ საყდრიონში, სოფელ ხევსურთსოფლის საჯარო სკოლის მეორე შენობა; ქ. თბილისში, გოთუას ქუჩა №3-ში, შპს „ელიავა ბიოფარმი“-ს საკუთრებაში არსებული შენობები; ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირზე №2ა-ში შპს „დინამო-არენა“-ს და სს „ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი“-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე მდებარე „ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენა“-ს შენობა-ნაგებობა; ქ. თბილისში, მარიჯანის ქ. №2-ში მდებარე მრავალფუნქციური შენობა; ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრესაში არსებული ყოფილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა; ქ. თბილისში, დუტუ მეგრელის ქ. №1-ში არსებული შენობები; ქ. ბოლნისში, სულხან საბა ორბელიანის ქუჩა №108-ში, სსიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტი“-ს საკუთრებაში არსებული „ბოლნისის კულტურის სახლი“-ს („ბოლნისის თეატრი“-ს) შენობა; ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირზე №164-ში, შპს „სოდი ინვესტმენტი“-ს საკუთრებაში არსებული ძველი კინოსტუდიის შენობები; ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირზე №2/9-ში მდებარე ყოფილი კინოთეატრ „საქართველო“-ს შენობა; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში, მეგობრობის ხეივანი №1-ში მშენებარე „სასტუმრო კომპლექსი განმუხურში“-ს შენობა; ქ. წყალტუბოში, ბარათაშვილის ქუჩაზე, მდებარე ყოფილი სანატორიუმ „გელათი“-ს შენობა („A“ კლასის აკრედიტაციის მქონე ორგანო, შპს „პონტიკა“).

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები:

საცურაო აუზის მოძრავი სახურავის პროექტი და სამონტაჟო სამუშაოები ვაკეში, ქ. თბილისში (შ.პ.ს. „მაქსმშენი“); საცურაო აუზის მოძრავი სახურავის პროექტი და სამონტაჟო სამუშაოები ბორჯომპარკში (შ.პ.ს. „ტსვ“) და ქ. თბილისში ვ. მოსიძის ქ. №4-ში (ბესიკის II შესახვევი №4) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული ელემენტების გაძლიერება და რეკონსტრუქციის სამუშაოები (შ.პ.ს. „ტანდემი“).


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
რამაზი
RAMAZI
გვარი / LAST NAME
აფხაძე
APKHADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
01003019723
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
16.07.1949
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
16.11.2030
ბარათის No / CARD No
19IC69958
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ლანჩხუთი
LANCHKHUTI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
16.11.2020
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2019
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE019IC69958901003019723<<<<
4907163M3011168GE0<<<<<<<<<<<0
APKHADZE<<RAMAZI<<<<<<<<<<<<<

ავტობიოგრაფია

მე, რამაზ აფხაძე დავიბადე 1949 წლის 16 ივლისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში, მოსამსახურეების ოჯახში. მშობლები ამჟამად გარდაცვლილია.

1966 – დავამთავრე ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის საშუალო სკოლა.

1974 – დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით და მომანიჭეს ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

1973-76 – განაწილებით ვმუშაობდი ინჟინერ-კონსტრუქტორად საპროექტო ინსტიტუტ „თბილზნიეპი“-ს მე-2 არქიტექტურულ სახელოსნოში.

1976-93 – ვმუშაობდი სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო „რემმშენპროექტი“-ში წამყვანი კონსტრუქტორიდან განყოფილების უფროსის თანამდებობამდე.

1993 წლიდან სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში ვეწეოდი საპროექტო სამუშაოებს. შევასრულე **პროექტების კონსტრუქციული ნაწილები:** სასტუმრო „ტფილისი“ აბანოთუბანში (შ.პ.ს. „კარიბჭე“); ქ. თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რეკონსტრუქცია; ხაშურის რაიონის გომის სპირტის ქარხნის საჩამომსხმელო საამქრო; „რენო“-სა და „ოპელი“-ს ავტოსალონები ქ. თბილისში; „მეღვინეობა ხარება“-ს ღვინის ქარხანა სოფ. სიქთარვაში (თერჯოლის რ-ნი); ბორჯომის №1 საჩამომსხმელო ქარხნის საწყობი (შ.პ.ს. „სიმაღლე“); „მაგთივინი“-სა და შ.პ.ს. “ფუძე”-ს საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში (შ.პ.ს. „კულტმშენი“); ჰიპერმარკეტი „გუდვილი“; კინოთეატრი ბორჯომპარკში; რკინიგზელთა კულტურის სახლი ქ. ფოთში; (შ.პ.ს. „გოდაკო+“); შ.პ.ს. „თეგეტა-მოტორსი“-ს ავტოსერვისცენტრები ქ. თბილისში (შ.პ.ს. „სტუდია-ბეტა“) და ფოთში (შ.პ.ს. „მიშელი“); ქ. თბილისის მე-9 საშ. სკოლა (შ.პ.ს. „არქიტრიო“); ქ. თბილისის შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კორპუსების რეკონსტრუქციის სამუშაოები (შ.პ.ს. „ინტერსერვისი“); სავაჭრო ცენტრი ორთაჭალაში, ქ. თბილისში და ბაზალეთის ტურისტული კომპლექსი (შ.პ.ს. „ცენტრი“); ქ. თბილისის №187-ე და №48-ე სკოლების გაძლიერება; სასაწყობე მეურნეობა და სავაჭრო ცენტრი ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩაზე; საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში შ.პ.ს. „შატო მანავი“-ს ღვინის ქარხნის მიმღები და საცავი საამქროები“ (შ.პ.ს. „აგრომრეწვსერვისი“); თბილისის სპორტის სასახლისა და სასტუმრო „აჭარა“-ს რეკონსტრუქცია; საოფისე საგამოფენო ცენტრი შარდენზე (შ.პ.ს. „აჭარა+“); მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი აღმაშენებლის ხეივანსა და მიქელაძის ქუჩის მიმდებარედ და წყალტუბოს ქუჩაზე „G“ ბლოკი ქ. თბილისში (შ.პ.ს. „ვატო“); შ.პ.ს. „მერიდიანი“-ს საწარმოო კორპუსი ქიზიყის ქუჩაზე ქ. თბილისში; სავაჭრო ცენტრი „მარშე“ თ. ერისთავის ქუჩაზე ქ. თბილისში; სავაჭრო ცენტრი “პანორამა“ დიდ დიღომში, ქ. თბილისში და ღვინის ქარხანა ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში (შ.პ.ს. „ედრი+“); მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი წყალტუბოს ქუჩაზე „A“ ბლოკი ქ. თბილისში; შ.პ.ს. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“-ს ღვინის ქარხნები: საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულთან, გურჯაანის რაიონის სოველ ველისციხეში და აჭარის არ-ის დაბა ქედაში; შუშის წრთობის საამქრო ავჭალაში, დ. სარაჯიშვილის ქ. №14ა-ში, ქ. თბილისი (შ.პ.ს. „ტანდემი“); სავაჭრო ცენტრი ქ. ქობულეთში და შ.პ.ს. „მათე-მოტორსი“-ს ავტოსალონი აღმაშენებლის ხეივანზე ქ. თბილისში (შ.პ.ს. „არტდიზაინ+“); ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუკულში მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიისა და სოფელ ჩიხარიშის „ოქონის“ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტები; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში არსებული „პეტრს ციხე“-ს პირველი ეტაპის რეაბილიტაციის პროექტი (შ.პ.ს. „რესტავრატორები და კომპანია“); თეთნულდის სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების საპროექტო ობიექტების წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ნაგებობები (შ.პ.ს. „ხუროთმოძღვარი“); ოზურგეთის

დაჯილდოების

სიგელი

ზატონ რამაზ ათხაძე

საქართველოს მშენებლობის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული

წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

2016 წლის 7 დეკემბრის №1-1/663 ბრძანებით მიენიჭა

საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი

გიორგი გახარია

მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში შ.პ.ს. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“-ს „შატო“-დ წოდებული შენობა; მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში „თადეოზ გურამიშვილის საგვარეულო მარანი“-ს რეაბილიტაცია და ღვინის სახლის პროექტი (შ.პ.ს. „უნი ჯგუფი“); საკონსერვო ქარხნების პროექტები ქ. ჩოხატაურსა და დაბა ქედაში (შ.პ.ს. „ვაკო“). მოცვის გადამამუშავებელი საამქრო მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგვაზაოში და ხილის გადამამუშავებელი საამქრო ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში (შ.პ.ს. „ბალავერი“).

პროექტების ექსპერტიზა: „ხორბლის გადამამუშავებელი წისქვილი და მაკარონის მწარმოებელი ქარხანა“ ქ. თბილისში ჭირნახულის ქ. №4-ში; ქ. თბილისში „მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები“ ა. მირცხულავას ქ. №11-ში და გორგასლის ქ. №10-ში, აგრეთვე შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ საცხოვრებელი ჯგუფი „ფიჭვები“ (შ.პ.ს. „თბილსათბობმშენი“); „კლიჩის ხეობის 500 კვ. ეგხ. №212 და №214 ანძების მუშა პროექტი“ და „ეგხ. 500 კვ. ენგურჰესი-ცენტრალური (კავკასიონი) №27ა საყრდენის მუშა პროექტი“ (შ.პ.ს. „ვნვ და კომპანია“); „მრავალფუნქციური კომპლექსის საცხოვრებელი ზონა“ გორგასლის ქ. №40-ში; შ.პ.ს. „რედ-კო“-ს საცხოვრებელი კომპლექსები გუდაურში და სხვ. (შ.პ.ს. „ედრი+“); ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში „სასტუმრო აბასთუმანში“ (შ.პ.ს. „ბალავერი“)

შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა: გერმანიის საელჩოს შენობა დ. აღმაშენებლის გამზირზე („თბილზნიეპი“); სპორტის სასახლე ქ. თბილისში (შ.პ.ს. „აჭარა+“); სასტუმრო „აჭარა“; ქ. ბორჯომში „კომპოზიტორთა სახლი“; „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“ ქ. თბილისში; შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“-ს ცენტრალური ოფისისა და უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე სერვისცენტრის შენობები; გეოლოგიური სამმართველოს შენობა ფალიაშვილის ქუჩაზე ქ. თბილისში; კურორტ საირმეს დასასვენებელი კორპუსები; საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში დ. არაყიშვილის ქ. №2-ში; (შ.პ.ს. „ტანდემი“); ქ. თბილისში, ლეონიძის ქ. №3÷5-ში მდებარე ეროვნული ბანკის ყოფილი შენობა (შ.პ.ს. „ბალავერი“)

მყავს მეუღლე მზია აფხაძე, პროფესიით პედაგოგი. ამჟამად პენსიონერი.

ვაჟი ნოდარი, დაოჯახებული. ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას შპს ბარაკონში (პროფესიული კოლეჯი) და კრეატიული განათლების სკოლაში.

ქალიშვილი თეა, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ა. ქუთათელაძის სახ. ქ. თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

მისამართი: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, I მ/რ, კორპ. 13, ბინა 146.

ტელ: 263 22 52 მობ: 877 757 028; 5.98 922 254; 5.71 490 107

2022 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის
მრჩეველი

ბ-ნი *რამაზ ნოდარის ძე*
ახვხაძე
(არჩეულია 2019 წლის 25 მარტს)



პირადი ხელის მოწერა
აკადემიის პრეზიდენტი
ა. ფრანგიშვილი

Советник
ИНЖЕНЕРНОЙ АКАДЕМИИ ГРУЗИИ

г-н *Анхадзе*
Рамаз Нодарович
(избран 25 Марта 2019 года)

№ 5- 171

Counsellor of
The ENGINEERING ACADEMY of
GEORGIA

Mr. *Ramaz N. Apkhadze*
(elected on March 25, 2019)